დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

თინათინ მეფარიშვილი

ნანა ხუფაცარია

დემიდ ფასიეშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 239404079

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მშ-ს 2025 წლის 28 ივნისის №774602 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 12 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლაში (მის: საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული). სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამის თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა.

სკოლა ავტორიზებულ რეჟიმში აგრძელებს საქმიანობას 2023 წლიდან და ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. ავტორიზაციის შედეგად სკოლას განესაზღვრა მოსწავლეთა ზღვრული ნორმა - 300 მოსწავლის ოდენობით. ამჟამად სკოლაში სწავლობს 121 მოსწავლე.

ექსპერტთა შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით ინდიკატორის მითითებით.

4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 4.1.1.1. ინდიკატორის აღწერაში).
რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა/გაუმჯობესება, სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სფოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-19 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალური იხ. 4.1.1.2. ინდიკატორის აღწერაში).
რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება, სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სფოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-19 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ბ. 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.1. ინდიკატორის აღწერაში).
რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა, სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სფოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-19 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
2.2.1.2. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.2. ინდიკატორის აღწერაში).
რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების მოძიება, დამატება და განვითარება, სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სფოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-19 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.3. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.3. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის განვითარება, სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სფოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-19 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
2.2.1.5. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.5. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სფოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-19 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება სრულად დაეთანხმა ექსპერტთა შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 1 საჯარო სკოლის მისიაა, შევქმნათ მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ფორმალური ისე არაფორმალური განათლების მაღალ ხარისხს, ხელს შეუწყობს მოსწავლეების პიროვნულ განვითარებას, კრეატიულობასა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობას, პროფესიული პროგრამების დაუფლებას, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.
   თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, უნდა მოხდეს პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება რათა, მოხდეს კონკურენტუნარიანობის გაძლიერება.
   შრომის ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრების მომზადებით იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის პოლიტიკის ისეთ მიზანს, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და პროფესიული სტუდენტის უწყვეტი პროფესიული განათლების მიღება. **ამდენად, ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**
2. სკოლის მისია არის გასაგები და მამოტივირებელი. მასში იკვეთება დაწესებულების ძირითადი პროფილი. ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.
   მისიიდან, ჩანს დაწესებულების როლი, რომ სკოლა იძლევა საშუალებას ახალგაზრდამ მიიღოს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. სასწავლო დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი იყოს მეტად კონკურენტუნარიანი, მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით დაძლიოს გამოწვევები და ჩამოყალიბდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პროფესიონალ კადრად.
   ამდენად, ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია, მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის მისიიდან გამომდინარეობს მისი ხედვა და ღირებულებებიც, რომელიც თავსებადია დაწესებულების მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს.
   2030 წლისთვის სკოლა ფორმალური, არაფორმალური და პროფესიული განათლების მიმართულებით უნდა გახდეს წამყვანი და კონკურენტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება კორბოულის თემში.
   სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის ღირებულებებია:
   სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:
   - ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის წარმატება.
   - სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შრომა, მიღწევები და აზრი პატივისცემია;
   - გააზრებული გვაქვს, რომ ვაკეთებთ საერთო საქმეს და ვართ ჩვენი სკოლის ერთგულნი;
   - წარსული გამოცდილების გათვალისწინებით ვნერგავთ ინოვაციურ მიდგომებს.
   - ვზრუნავთ სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზე;
   - ვემსახურებით საზოგადოებრივ ინტერესსა და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას;
   - ვაფასებთ ყველა იმ ინიციატივას, რომელიც მიმართულია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.
   - ჩვენთვის მნიშვნელოვანია მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარება;
   - ჩვენ ვმუშაობთ გუნდურად და ვიცავთ კოლეგიალობას;
   - ჩვენ ვართ შედეგზე ორიენტირებული და ვითვალისწინებთ გაწეულ ხარჯსა და მიღებულ სარგებელს.
   - ვითვალისწინებთ თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ჯგუფმა კითხვარების საშუალებით შეაგროვა ინფორმაცია, გადაამუშავა და სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებს მიაწოდა დასამტკიცებლად. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ორგანოებში შედიან როგორც პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლე, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ. მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის ბრძანება N - 2-15 სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N 1 და შვიდწლიან სტრატეგიული გეგმა და მასში ცვლილების შეტანის შესახებ სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი.
   მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია, ასევე, სკოლის ვებგვერდზე და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე, რითაც უზრუნველყოფილია მოთხოვნა, რომ ისინი საჯაროდ გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა ღირებულებებით;
- სკოლის ვებგვერდით: https://skolebi.emis.ge/schools/1068;
- სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის #1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის ბრძანება N - 2-15 სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N 1;
- სტრატეგიული გეგმა 2023-20230 https://tinyurl.com/yc5zanf2 ;
- ინტერვიუს შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია „საქართველოს კანონთან „პროფესიული განათლების შესახებ“, მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან და იცავს პროფესიული სტუდენტების უფლებებს და უზრუნველყოფს მათ გარანტიებს. დაწესებულებაში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N 2-16 ბრძანებით დამტკიცებულია:

პროფესიული სტუდენტის უფლებები (დანართი-3.1), სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება (სადაც გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის ისეთი უფლებები როგორიცაა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი;(8 მუხლი); ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან“ (60,61,62,63,64,65 მუხლები); მობილობა-რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ დებულებებთან (42,43,44,45,46 მუხლები); პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში (70, 71 მუხლები); შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მიმართ გამოსაყენებელი სავარაუდო აქტივობები; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები (66 მუხლი); სწავლის შედეგების შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (მუხლი 47,48) ასევე,დაწესებულების დანართი„ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“; სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები (მუხლი 37); .შეფასების პროცესის ადმინისტრირების და შეფასების შედეგების აპელაციის წესები და პროცედურები (მუხლი 47); შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურები (მუხლი 47); აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის, ინფორმირების, გასაუბრების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკონკურსო კომისიის შექმნის, განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის წესებს, ჩასარიცხად საჭირო წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს და სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურებს (13,14,15,16 მუხლები).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურას. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძ. 2-16; 16.06.2025) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის თანახმად, პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სკოლა მოაწყობს საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრებს. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას გაუწევს დირექტორის მოადგილე (სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი). პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულმა სტუდენტებმა გაიცნონ ზსდ-ის პერსონალი, მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და ზსდ-სა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე. დებულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისთვის საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტის მიწოდებას, რომელიც დაეხმარება მას შიდა პროცესების ადაპტაციაში. პროფესიული სტუდენტების მიერ, საკუთარი უფლებების გაცნობა დადასტურდება, პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმით . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, ატვირთულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**
3. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (ბრძ.2-16; 16.06.25) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს, მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს შეფასების შედეგების გასაჩივრებას. გარდა ამისა, დებულება მოიცავს სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლის ჩატარების შესაძლებლობას პერმანენტულად სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, აღნიშნულ შეხვედრებზე მოხდება სხვადასხვა საკითხების განხილვა, მათ შორის სტუდენტების უფლებები. ამასთან, გათვალისწინებულია კონსულტაციების განხორციელება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. პროფესიული მასწავლებლის უფლება-მოვალეობებშიც გაწერილია ვალდებულებები, რომელიც პროფესიული სტუდენტის კონსულტირების საკითხს მოიცავს, მათ შორის შეფასების სისტემაზე. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3. შესაბამისობაშია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**
4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ვინაიდან პროგრამა ითვალისწინებს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადებას, გათვალისწინებული იქნება მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების დადება. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.4. შესაბამისობაშია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის, გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, რომლის 63-64-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სპეციფიკა, აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს სპეციალისტი სსსმ/შშმ პირის საჭიროების გათვალისწინებით. ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებობისას, ასეთი პირი მოიწვევა ზსდ-ის მიერ. სსსმ/შშმ პირის სასწავლო პროცესში ჩართვა, სწავლებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება წარმოებს სპეციალისტისა და შესაბამისი კომპეტენციის/უფლებამოსილების მქონე პირთა ჩართულობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობებით (ბრძანება №2-16; 16.06.24);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით (ბრძანება №2-16; 16.06.24);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება №2-16; 16.06.24);
- სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

   მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

   მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.

   დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. აღნიშნულით დაკმაყოფილდება ინდიკატორის მოთხოვნა.

   ამდენად, ინდიკატორი 4.1.1.1. მოთხოვნა - დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე.
   მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.
   შესაბამისად დაწესებულებას, შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.
   ამდენად, ინდიკატორი 4.1.1.2. მოთხოვნა - დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.
3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობას, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.
   სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიზანია დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება–განახლებაზე ზრუნვა. სკოლას ხელშეკრულებით ჰყავს დასაქმებული ხარისხის მართვის მენეჯერი.
   ამდენად, ინდიკატორი 4.1.1.3. მოთხოვნა - დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძ.N2-16; 16.06.2025);
- ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები'' (ბრძ. N 2-16; 16.06.2025);
- ხელშეკრულება ხარისხის მართვის მენეჯერთან;
- ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე. **ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**
2. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით. სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის ახალი თანამშრომლის აყვანისას, დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით. დაწესებულებაში დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსით შერჩევის, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. პერსონალი შესაძლოა დანიშნულ იქნას დანიშვნის აქტით - ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**
3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი 4.1.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

4. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება. დაწესებულების სტრუქტურა, ასევე, ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით. **ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი" (ბრძ.N2-16; 16.06.2025);
- „პერსონალის მართვის და განვითარების პოლიტიკა" (ბრძანება №2 -16; 16.06.2025);
- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის #1საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის ბრძანება N2-17
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი კორბოული
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, რასაც ადასტურებს მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყოველწლიურად ატარებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შრომის ბაზრის ანალიზს, სადაც განხილულია შრომის ბაზრის სტატისტიკა, დასაქმება სექტორულ ჭრილში, შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვები და სხვა. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ასევე შეესაბამება, სკოლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სკოლის მისია ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელებას, რითაც სკოლა ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის უწყვეტ პროფესიულ განათლებას და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში.

გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და მართვის პროცედურები (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება, თავი I. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება, გაუქმება“), რომლის თანახმად, დაწესებულების მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისი პროგრამის ინიცირების შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს და აანალიზებს კონცეპტუალურ, რესურსულ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ოპერაციულ მიზანშეწონილობას. დაწესებულებაში პროგრამის შემუშავების/დანერგვის მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს ინიციატივას, აკეთებს ანალიზს, რაც წარედგინება დაწესებულების დირექტორს. დაწესებულებამ ჩაატარა შიდა სასკოლო შეხვედრები, სადაც მოსწავლეებს გააცნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“, „სასტუმრო მომსახურეობა“, „Front-end დეველოპმენტი“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „ბაღის დიზაინი“. შეხვედრას ესწრებოდნენ სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მე-10 კლასის მოსწავლეები. მოსწავლეებმა რამდენიმე პროგრამიდან არჩევანი გააკეთეს მხოლოდ „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“-ს პროგრამაზე. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათ ასევე კომუნიკაცია ჰქონდათ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლებთან, აღნიშნული პროგრამისა და ამ მიმართულებით სპეციალისტების საჭიროებაზე. გამოიკვეთა, რომ ასეთ კადრზე საჭიროება ყველგანაა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, გამოკითხვებისას, გამოიკვეთა რომ, მოსწავლეების უმრავლესობას სურდა კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიის დაუფლება და შესაბამისად დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება დაემატებინა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შესაბამისად, კომპიუტერული ქსელი და სისტემების ინტეგრირებული პროგრამა ეხმიანება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების ვადა შეადგენს 2 წელს. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული წინაპირობები, შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტთან (სარეგისტრაციო ნომერი: 06.2.1) და არ მოიცავს სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები, მ.შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა, განსაზღვრულია დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით“ (იხ. ასევე 3.1.1.1 ინდიკატორის აღწერა). შიდა რეგულაციით განსაზღვრული პროცედურები შესაბამისია კანონმდებლობის მოთხოვნების. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-16 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 64-65) რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურისა და მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. დაწესებულების მფლობელობაშია, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მოდულებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. დაწესებულების შიდა ნორმატიული დოკუმენტების, მ.შ. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება, განსაზღვრულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით (მუხლი 5) და ეკუთვნის დირექტორს. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის #1საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის ბრძანებით N2-16. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროგრამის სახელწოდება “კომპიუტერული ქსელი და სისტემები” იდენტურია პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტის დასახელების, მოიცავს საქმიანობის სფეროს, არაა შეცდომაში შემყვანი და აერთიანებს სწავლის შედეგების შინაარს, რომელიც მოიცავს: უზრუნველყოს პერსონალური კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერა; იმუშაოს მობილურ და ლინუქს ოპერაციულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემებთან; დაამონტაჟოს და გამართოს მცირე და საშუალო ზომის კომპიუტერული ქსელი; დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები; გამართოს ბაზისურად კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგია; უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელებში ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია; გამართოს ბაზისურად VOIP ტელეფონია; გამართოს ბაზისურად Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისები; გამართოს ბაზისურად Linux სერვერული ოპერაციული სისტემა; გამართოს ბაზისურად სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგია; გამოიყენოს Cloud პლატფორმები; უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „კომპიუტერული ქსელი და სისტემები; Administrative Services“ (სარეგისტრაციო ნომერი - 06.2.1). დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ინტეგრირებული მიდგომით, შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს: “კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს ექვს ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 30 კრედიტის რაოდენობით და 17 პროფესიულ მოდულს ჯამური 87 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 117 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 20 სასწავლო თვეს ანუ 80 სასწავლო კვირას.

მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 147 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე, ანუ 104 სასწავლო კვირა.

პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (დონე, მისი შესაბამისობა ეროვნულ და საერთაშორისო კლასიფიკატორებთან) და მინიჭების პირობები; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები; იდენტიფიცირებულია საკვანძო კომპეტენციები, პროფესიული ცოდნა-უნარები, რომელთა განვითარებას უზრუნველყოფს კონკრეტული მოდულები; შეფასების მიმართულებები, მოდულების განხორციელების/სწავლების შესაძლებლობები (დისტანციური, შერეული, პირისპირ), პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის პერიოდები. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებები: №170/ნ 19.08.2019; №95/ნ 07.06.2024) **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია (16.06.2025. №2-16);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება (16.06.2025. №2-17);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულების განაცხადით, ხორციელდება იმიტირებულ გარემოში. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყოფა სივრცე/აუდიტორია, სადაც დაგეგმილია საგანმანათლებლო სტანდარტით მოთხოვნილი მატერიალური რესურსითა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მოეწყოს სასწავლო იმიტირებული A/B გარემო, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება დაწესებულების საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტები, რომლებიც ასევე გამოიყენება ზოგადი განათლების საფეხურის ფარგლებში, თუმცა მისი გამტარუნარიანობა ამ ეტაპისთვის დასტურდება დაწესებულების ადმინიტსრაციასთან გასაუბრებითა და სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის/სასწავლო ჯგუფების რაოდენობის საფუძველზე.
   დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამის/მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რესურსი, რომლის შეძენაც დაგეგმილია. მატერიალური რესურსის ნუსხა დანართის სახით ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტს. პროგრამისთვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო განახორციელებს. შესაბამისად პსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტის აღნიშნული კომპონენტი დაწესებულებას გატანილი აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ხოლო ინდიკატორი/კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით“.
   ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მისი ზსდ-ის მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ, 2.2.1.1 ინდიკატორის შეფასება „მეტწილი შესაბამისობა“ - დარჩა უცვლელი.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა: 2025 წლის სექტემბერი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 13 განმახორციელებელი პირი, წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია ინტეგრირებული მოდულების 8 მასწავლებელთან. პროფესიული მოდულების ფარგლებში ჩართულია 5 პროფესიული მასწავლებელი, ასევე, ყველა მათგანთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულება.

საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას - 40 საათს. ასევე მასწავლებლები რომლებიც ახორციელებენ ინტეგრირებულ მოდულებს, არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას და აგრეთვე შესაბამისობაშია ნორმატიულ აქტთან“ საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის #108/ნ ბრძანების“ მე-7 მუხლის თანახმად, მასწავლებლის ანაზღაურებადი სრული სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება 25 საათის ოდენობით. დაწესებულებაში მასწავლებელთა დატვირთვა არ სცდება აღნიშნულ ნორმას, ხოლო პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილი სასწავლო გეგმით, ინტეგრირებული მოდულების სწავლება დაგეგმილია კვირაში 3-4 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

დაწესებულებას აღნიშნული ინდიკატორი/კომპონენტი თვითშეფასების დოკუმენტში შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით“. ასევე, წარმოდგენილია სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა. დოკუმენტით დაგეგმილია დამატებით განმახორციელებელი პირების მოძიება, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულისთვის ერთზე მეტი განმახორციელებელი პირის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 2025 წლის ნოემბერი).

ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-17 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით.
ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. წარმოდგენილი პირადი საქმეები სრულყოფილია, წარმოდგენილია კომპეტენციის/კვალიფიკაციის დამდასტურებელი დოკუმენტები. პირად საქმეზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ინტეგრირებული მოდულების ყველა მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია ან/და აქვს საგნის სწავლების გამოცდილება, ხოლო პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და გავლილი აქვთ ტრენინგ-კურსები. უდასტურდებათ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება შერჩეული პირების შესაბამისობა საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება განმახორციელებელ პირებთან, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების კომპეტენციები, თუმცა პროფესიული განათლებისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენციის განვითარების მიზნით, დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს მასწავლებელთა, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციების განვითარება.
შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 2025 წლის ნოემბერი).
ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილება. მისი ფუნქციები ანაზღაურება და სხვა სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-17 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან. აღნიშნული დადასტურდა ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით.
დაწესებულების მიერ განსაზღვრული სამუშაო აღწერილობით, პროგრამის ხელმძღვანელი გარდა მოდულების განხორციელებისა, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იქნება პროგრამის ადმინისტრირების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის, პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების პროცესებში.
ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს არის თავისი საქმის მცოდნე, კომპეტენტური, სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.

5. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, რისთვისაც, დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა 2025 წლის ნოემბერი).

ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. 2025 წლის 16 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-17 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. სკოლას შემუშავებული აქვს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-17 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით, დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულება რეგულარულად განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. პროგრამის შეფასებისთვის სკოლაში შემუშავებულია კითხვარები. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.**

2. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-17 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების თანახმად, დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა. **ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებსაც დანართის სახით ერთვის 2 სასწავლო გეგმა. (არაინტეგრირებული, ინტეგრირებული) პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური და სავალდებულო წინაპირობები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**
2. დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №2-17 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების თანახმად, დაცულია პროფესიული სტუდენტის ინტერესები. დაწესებულება განახორციელებს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით მოახდენს რეაგირებას მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება, რისთვისაც დაწესებულებას აქვს აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.
   დებულებით რეგულირდება, ასევე, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. სტუდენტებს აქვთ, ასევე, მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დებულებები ითვალისწინებს, ასევე, ვერიფიკაციისა და ინტეგრირებული მოდულების შეფასების მექანიზმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ობიექტური შეფასება. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებითა და უშუალოდ პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანმანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის სპეციფიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,**
4. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება საჭიროების შემთხვევაში. ამისთვის დაწესებულებას აღწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა (მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულებაში), რომლის თანახმადაც, სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი/პარტნიორი ორგანიზაცია. **ინდიკატორი 2.4.1.5. დაკმაყოფილებულია.**
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დარგის სპეციფიკა არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებულ, საოფისე საქმიანობისგან განსხვავებულ ნორმებს. დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად მოხდება ევაკუაცია, საჭიროების შესაბამისად დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, დაწესებულებაში, როგორც სასწავლო ისე სამუშაო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში. ამდენად, **ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,** სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- უსაფრთხოების ზოგადი წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების რეგულაციები რომლის შესაბამისადაც, სკოლია უზრუნველყოფს შედეგების დადასტურების ორგანიზებას. რეგულაციის შესაბამისად კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე. ამისათვის სკოლა განახორციელებს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების სისტემატიურ გადამზადებას, შეფასების ინსტრუმენტების განვითარებას, ვალიდაციას, გეგმიურ ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფას. პროგრამებში გამოიყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. .ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ასევე რისკების სისტემა, რაც დაეხმარება დაწესებულებს ვერიფიკაციის პროცესის მართვაში. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**
3. დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილი აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. დებულების 39-ე მუხლის მე-15 პუნქტით, სადაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები - მუდმივად. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, დაიგეგმება შესაბამისის ღონისძიებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

25.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: